საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7760/01
23/07/2021

7760-01-2-202107231522

შპს „ჯონოული 2"-ს

მის: ქ. ცაგერი, თამარ მეფის ქ. 8

ელ. ფოსტა: zurab.samsonidze@geen.eu

თქვენი 2021 წლის 25 მარტის N5240 წერილით წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2"-ის მდ. ჯონოულზე დაგეგმილი 32.0 მგვტ. სიმძლავრის „ჯონოული 2 ჰესის" ღია გამანაწილებელ ქ/ს-სა და დაგეგმილ 500 კვ ქ/ს „ლაჯანურის" დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჯონოულის" მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2021 წლის 6 იანვარს გაცემული N99 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N 2-9) მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად: „პროექტის ამ ეტაპზე მოსახლეობასთან ვერ მოხდება ოფიციალურად რაიმე წინასწარი შეთანხმების გაფორმება, რადგან გაურკვევლობაა რეგისტრაცია შეჩერებული ნაკვეთების გამო და ასევე წინასწარ მოლაპარაკებებს აჭიანურებს ჯონოული 2 ჰესის პროექტის გზშ-ის ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება სამინისტროში. წინამდებარე პროექტზე გარემოსდაცვითიი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომპანია გეგმავს დაიწყოს მშენებლობის ნებართვის მიღების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით დაწყებული პროცედურებიდან, კონკრეტულად პირველი სტადია გულისხმობს მიწის საკითხების შეთანხმებას. ზუსტად ამ ეტაპზევე იგეგმება პროექტის ფარგლებში მოხვედრილ მიწის მესაკუთრეებთან (აქ საუბარია, როგორც კერძო, ისე დაურეგისტრირებელ და სახელმწიფო მიწებზე) მოლაპარაკებების წარმოება". გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის

განხორციელებასთან დაკავშირებით მოსახლეობის (კერძო მესაკუთრრეების) ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის ამსახველი (არსებობის შემთხვევაში შეთანხმების დამადასტურებელი) ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშს არ ახლავს ფუჭი ქანების სანაყაროების SHP ფაილები;
- გზშ-ის ანგარიშის N9 თავში „სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებაში“ წარმოდგენილია სამინისტროს 2020 წლის №99 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი ცხრილის სახით, რაც საჭიროებს კორექტირებას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საჯარო განხილვაზე გამოთქმული რამდენიმე შენიშვნა, რომელიც სრულად არ ასახავს საჯარო განხილვაზე გამოთქმულ მოსაზრებებს და შენიშვნებს, ამასთან, არ არის წარმოდგენილი აღნიშნული მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია: „გზშ-ს ანგარიშის მომზადების ეტაპისთვის საპროექტო ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს ანალოგიური ტიპის სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოები საპროექტო ეგხ-ს დერეფნის მიმდებარედ და აღნიშნულიდან გამომდინარე კუმელაციურ ზემოქმედებად განიხილება მხოლოდ ელექტრული ველების ზემოქმედება - არამაიონიზირებელი გამოსხივება.” კუმულაციური ზემოქმედება განხილული უნდა იყოს, როგორც არსებულ, ასევე დაგეგმილ, საქმიანობებთან მიმართებით. არსებული ინფორმაციით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს დაგეგმილია „ჯონოული 2 ჰესის“ მშენებლობა, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება შეფასებული და წარმოდგენილი უნდა იყოს „ჯონოული 2 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მშენებელობის დაწყებამდე საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მოიხსნება დაახლოებით 3000 მ3 ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ამასთან აღნიშნულია, რომ ანძების საძირკველის მომზადებისას სულ მოიხსნება, დაახლოებით, 1455 მ3 ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხოლო სამშენებლო მასალების დასაწყობების ადგილის მომზადებისას მოიხსნება მაქსიმუმ 5000 მ3 მოცულობის ნიადაგი. ამასთან აღნიშნულია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოსალოდნელია მისასვლელი გზების ფარგლებში, დაახლოებით, 40 000 მ3 მოცულობით. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს სად მოხდება 3000 მ3 მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და პროექტის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მთლიანი მოცულობა.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ობიექტები არ არის დატანილი სამშენებლო ბანაკის გეგმაზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა შესაბამისი ექსპლიკაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების

გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე